ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარჯები

ანალიზი მომზადებულია პროექტის - საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

Visegrad Fund

Government of the Netherlands

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის: ალ. გრიბოედოვის ქ. №3 0180, თბილისი
ტელ: + 995 32 292 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებგვერდი: www.idfi.ge

ნოემბერი,
2017

ძირითადი მიგნებები

- 2014-2017 წლებში, აფხაზი და ოსი პაციენტების სამედიცინო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის პროგრამის ფარგლებში სულ დაიხარჯა 16,935,074.81 ლარი, ხოლო სამედიცინო მომსახურება სულ 6,188-მა პაციენტმა მიიღო.
- 2014-2017 წლებში სახელმწიფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლე პაციენტებს შორის უფრო მეტი იყო აფხაზი (3,595), ვიდრე ოსი (2,650).
- 2014-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლე პაციენტების რაოდენობა 2.4-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თითქმის გაორმაგდა.
- 2014-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო ტრანსპორტირებით მოსარგებლე პაციენტების რაოდენობა 50%-ით გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თითქმის გაორმაგდა.
- 2014-2017 წლებში სახელმწიფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლე პაციენტებს შორის უფრო მეტი იყო აფხაზი (3,595), ვიდრე ოსი (2,650). შესაბამისად, აფხაზი პაციენტების სამედიცინო მომსახურებაზე უფრო მეტი თანხა დაიხარჯა (აფხაზ პაციენტებზე – 9,759,689 ლარი, ოს პაციენტებზე – 8,098,078 ლარი)
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტები საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს ყველაზე ხშირად ონკოლოგიის, ონკოჰემატოლოგიის დაავადების შემთხვევაში და მედიკამენტების მოთხოვნით მიმართავენ.

შესავალი

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს პოლიტიკის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამშვიდობო პროცესის საინიციატივო წინადადებები და ფორმატები, წარმართოს სამშვიდობო პროცესები და მონაწილეობა მიიღოს მათში. აღნიშნული პოლიტიკა ასევე გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ო) მცხოვრები პაციენტების მკურნალობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას. უფრო ზუსტად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები არა-საქართველოს მოქალაქეების (შემდგომში, აფხაზი და ოსი პაციენტების) სამედიცინო მომსახურება, რაც ხორციელდება „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, IDFI-მ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014-2017 წლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონალური მომსახურებით მოსარგებლეთა სტატისტიკური მონაცემების მოთხოვნით მიმართა. სამინისტრომ კვლევის ფარგლებში [მოთხოვნილი ინფორმაცია](#) IDFI-ის სრულყოფილად მიაწოდა.

ზოგადი მონაცემები

2014-2017 წლებში საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ 6,188 პაციენტს გაუწიეს სამედიცინო მომსახურება (იხ. სურათი #1), რაზეც ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 16,935,074.81 ლარი დაიხარჯა. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემები 8 ნოემბრამდე პერიოდს მოიცავს.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლე აფხაზი და ოსი პაციენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. ამ პერიოდში პაციენტების რაოდენობა 2.4 ჯერ გაიზარდა, 941-დან (2014) 2,280-მდე (2016). 2017 წელს (8 ნოემბრამდე პერიოდისათვის) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით 1,447-მა პაციენტმა ისარგებლა.

2014-2016 წლებში სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯული თანხა თითქმის გაორმაგდა (იხ. სურათი #2). 2016 წელს 83%-ით მეტი დაიხარჯა (5,782,505.96 ლარი), ვიდრე 2014-ში (3,166,603.24). 2017 წელს (8 ნოემბრისთვის) სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,734,455.68 ლარი იყო დახარჯული.





პაციენტების და მათზე გამოყოფილი თანხის განაწილება დაავადებების მიხედვით

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტები საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს ყველაზე ხშირად ონკოლოგიის, ონკოჰემატოლოგიის დაავადების შემთხვევაში, ასევე, მედიკამენტის მოთხოვნით მიმართავენ. 2014-2017 წლებში ჯამში საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებმა 1,478 ასეთი პაციენტი მიიღეს, რაზეც 3,180,638.76 ლარი დაიხარჯა (იხ. სურათი #3,#4 და #5).

აღსანიშნავია, რომ სამინისტროსგან მოწოდებული ინფორმაცია პაციენტების რაოდენობის შესახებ დაავადებების მიხედვით 2014-2015 წლებში მოიცავს სამედიცინო ტრანსპორტირების შემთხვევებს, ხოლო 2016-2017 წლებში პაციენტების რაოდენობა და სამედიცინო ტრანსპორტირების შემთხვევები განცალკევებულია.

სურათი #3 - პაციენტების და მათზე გამოყოფილი თანხის განაწილება დაავადებების მიხედვით		
დაავადებები	**პაციენტების რაოდენობა (2014-2017)**	**გამოყოფილი თანხა (2014- 2017)**
ონკოლოგია/ონკოჰემატოლოგია/მედიკამენტი	1478	3,180,638.76
ზოგადი ქირურგია/გინეკოლოგია	957	1,858,005.34
ნეიროქირურგია/ნევროლოგია	673	2,361,900.7
კარდიოლოგია/კარდიოქირურგია	569	2,662,377.76
ჰეპატიტი/სხვა ინფექციური პათოლოგია	308	655,465.42
ოფთალმოლოგია	247	383,863.87
პულმონოლოგია	224	902,166.74
უროლოგია/ნეფროლოგია	234	709,049.03
პოლიტრავმა/ტრავმა	223	1,181,173.55
ანგიოლოგია	100	452,896.13
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	28	67,856
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	21	50,390.13
ენდოკრინოლოგია	17	35,590
სისტემური	9	22,437.16
სხვადასხვა	678	1,269,413.34
სულ	6188	16,935,074.81


სურათი #4 - პაციენტების განაწილება დაავადებების მიხედვით
სხვადასხვა
111
186
262
119
სისტემური
9
კეთილთვისებიანი სიმსივნეები
28
საჭმლის მომნელებელი სისტემის...
21
ენდოკრინოლოგია
17
უროლოგია/ნეფროლოგია
56
66
71
41
ოფთალმოლოგია
85
40
85
37
ჰეპატიტი/სხვა ინფექციური პათოლოგია
49
73
114
72
პულმონოლოგია
35
75
66
48
ზოგადი ქირურგია/გინეკოლოგია
133
341
358
125
პოლიტრავმა/ტრავმა
55
63
84
21
ონკოლოგია/ონკოჰემატოლოგია/მედიკა...
169
341
446
522
ნეიროქირურგია/ნევროლოგია
108
177
273
115
კარდიოლოგია/კარდიოქირურგია
112
137
185
135
ანგიოლოგია
28
21
34
17
2014
2015
2016
2017


სურათი #5 -პაციენტებზე გამოყოფილი საერთო თანხის (ლარი) განაწილება დაავადებების მიხედვით
სხვადასხვა
198 451,22
193 574,50
353 848,10
523 539,52
სისტემური
22 437,16
კეთილთვისებიანი სიმსივნეები
67 856,00
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები
50 380,13
ენდოკრინოლოგია
35 590,00
უროლოგია/ნეფროლოგია
75 523,80
193 818,25
336 658,66
103 048,32
ოფთალმოლოგია
89 824,15
97 829,32
155 610,82
40 600,58
ჰეპატიტი /სხვა ინფექციური პათოლოგია
103 902,11
174 148,83
238 104,51
139 309,97
პულმონოლოგია
104 376,29
325 704,31
371 054,79
101 031,35
ზოგადი ქირურგია/გინეკოლოგია
348 506,06
545 557,42
700 637,69
263 304,17
პოლიტრავმა/ტრავმა
351 223,91
374 569,24
386 887,47
68 492,93
ონკოლოგია/ონკოჰემატოლოგია/მედიკამენტი
616 902,91
1 166 106,85
1 396 270,52
1 051 358,48
ნეიროქირურგია/ნევროლოგია
597 675,46
471 273,87
730 557,41
562 303,96
კარდიოლოგია/კარდიოქირურგია
538 797,12
720 095,28
836 859,67
566 625,69
ანგიოლოგია
141 420,21
91 880,39
143 433,00
76 162,53
2014
2015
2016
2017

პაციენტების და მათზე გამოყოფილი თანხის განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

2014-2017 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით უფრო მეტმა აფხაზმა პაციენტმა ისარგებლა (9,759,689.25 ლარი 3,595 პაციენტისთვის), ვიდრე ოსმა (8,098,077.68 ლარი 2,650 პაციენტისთვის) (იხ. სურათი #7).

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ოსი პაციენტების რაოდენობა მხოლოდ 2014 წელს აჭარბებდა აფხაზი პაციენტების რაოდენობას. 2015 წელს დაფიქსირდა საპირისპირო დინამიკა, ხოლო 2017 წლისთვის აფხაზი პაციენტების რაოდენობა თითქმის 2-ჯერ აღემატება ოსი პაციენტების რიცხვს (იხ. სურათი #6).



რაც შეეხება პაციენტებზე გამოყოფილ თანხებს, 2014 წელს, პაციენტების რაოდენობის მსგავსად, მეტი თანხა დაიხარჯა ოს პაციენტებზე, ვიდრე აფხაზ პაციენტებზე. ხოლო 2015-2017 წლებში, საპირისპირო დინამიკა დაფიქსირდა.



პაციენტების და მათზე გამოყოფილი თანხის განაწილება პაციენტების ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

2014-2017 წლებში ჯამში სამედიცინო მომსახურება გაეწია 829 ბავშვს, რაზეც დაიხარჯა 2,298,246.11 ლარი და 5,415 ზრდასრულს, რაზეც 14,245,470.83 ლარი დაიხარჯა (იხ. სურათი #8 და #9).


სურათი #8 - პაციენტების განაწილება პაციენტების ასაკის მიხედვით
125
816
195
1 381
302
1 978
207
1 240
2014
2015
2016
2017
ზრდასრული
ბავშვი


სურათი #9 - პაციენტებზე გამოყოფილი თანხის განაწილება პაციენტების ასაკის მიხედვით
408 486,28
1 443 066,96
522 304,22
3 955 190,23
669 748,00
5 112 757,96
697 707,61
3 734 455,68
2014
2015
2016
2017
ზრდასრული
ბავშვი

სამედიცინო ტრანსპორტირება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება არა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების მკურნალობის ხარჯები, არამედ მათი სამედიცინო ტრანსპორტირებაც. ამ შემთხვევაშიც, 2014-2016 წლებში, იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებსაც სამედიცინო ტრანსპორტირება გაეწიათ, გაიზარდა. კერძოდ, თუ 2014 წელს ეს რიცხვი 201 იყო, 2015 წელს - 231, ხოლო 2016 წელს 302 გახდა. (იხ. სურატი #10). პროპორციულად, 2014-2016 წლებში თითქმის გაორმაგდა სამედიცინო ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხაც; კერძოდ, 70,007.45 ლარიდან (2014) 132,583.3 ლარამდე (2016) (იხ.სურათი #11).